დოქტორი ტშიილიძი მარვალა

პროფესორი ტშიილიძი მარვალა არის იოჰანესბურგის უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერი, სამხრეთ აფრიკაში რეგისტრირებული პროფესიონალი ინჟინერი, აგრეთვე განვითარებადი სამყაროს მეცნიერებათა აკადემიის (The Academy of Sciences for the Developing World), სამხრეთ აფრიკის მეცნიერებათა აკადემიის (Academy of Science of South Africa), სამხრეთ აფრიკის საინჟინრო აკადემიის (South African Academy of Engineering) წევრი. პროფესორი მარვალა ასევე გახლავთ გამოთვლითი ტექნიკის ასოციაციის (Association for Computing Machinery) საპატიო წევრი.

ამჟამად პროფესორი მარვალა არის ,,Nedbank''-ის მმართველი საბჭოს წევრი, აფრიკის ჯანდაცვის კვლევითი ინსტიტუტის თავმჯდომარე, ნამიბიის 4IR სამუშაო ჯგუფის წევრი და ნელსონ მანდელას ფონდის რწმუნებული.

პროფესორი მარვალა იყო იოჰანესბურგის უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერის მოადგილე და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, აგრეთვე გახლავთ იოჰანესბურგის უნივერსიტეტის ელექტრო ინჟინერიის, კარლ და ემილი ფუქსების სახელობის სისტემებისა და კონტროლის ინჟინერიის ფაკულტეტის, ასევე სამხრეთ აფრიკის სისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის სრული პროფესორი. მანამდე პროფ. მარვალა გახლდათ South African Breweries-ის დირექტორის აღმასრულებელი ასისტენტი.

პროფესორ მარვალას მინიჭებული აქვს ბაკალავრის ხარისხი მექანიკურ ინჟინერიაში (magna cum laude) Case Western Reserve უნივერსიტეტისგან, მექანიკური ინჟინერიის მაგისტრის ხარისხი პრეტორიის უნივერსიტეტისგან და ინჟინერიის დოქტორის ხარისხი კემბრიჯის უნივერსიტეტისგან. ის ასევე გახლდათ ასოცირებული პოსტ-დოქტორანტი კოლეჯში იმპერიალი. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ინჟინერიაში, კომპიუტერულ მეცნიერებაში, ფინანსებსა და მედიცინაში.

პროფესორ მარვალას აქვს ადამიანური შესაძლებლობების განვითარების ვრცელი გამოცდილება, ის ხელმძღვანელობდა 47 მაგისტრანტსა და 31 დოქტორანტს. სტუდენტთაგან რამდენიმემ გააგრძელა სწავლა სადოქტორო და პოსტ-სადოქტორო პროგრამებზე ისეთ წამყვან უნივერსიტეტებში, როგორებიცაა ჰარვარდის, რუტგერსის, პერუდის, ოქსფორდის, კემბრიჯის, ბრიტანეთის კოლუმბიისა და კონკორდიის უნივერსიტეტები.